№ 284. პარასკევი, 15 აგვისტო. 1896–1897 პარასკევი. 15 აგვისტო. № 284.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავ.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ.
მეოთხეზე 5 კაპ.

Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი «ცნობის ფურცლისა» გამოვა კვირას, 17 აგვისტოს.

13 აგვისტოს საღამოს მოჰკლეს გზაში ჩასაფრებულებმა თავის სოფელ ბრილში

ნიკოლოზ დავითის ძე დიასამიძე,

რასაც და, შვილები და რძლები განსვენებულისა დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა. პანაშვიდი გადახდილ იქნება ყოველ დღე. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

კერძო საპროფესიონალო სახელოსნო
ალექსანდრა არკადის ასულის მირზოევისა
(ტფილისი, პუშკინის ქუჩა, თავ. არღუთინსკის სახლებში).

სახელოსნოში ზედ-მიწევნით ასწავლიან ჭრას, კერვას, ხელ-საქმობას, ქსოვას, ქარგვას და ცეკვასაც.
სახელოსნო ღებულობს როგორც ტფილისელ, აგრეთვე ქალაქ გარეშე მცხოვრებთა ბავშვებს.
სახელოსნოში მიიღებიან ბავშვები პანსიონერებადაც. მსურველთ ბავშვების შესაყვანად უნდა მიჰმართონ სახელოსნოს 1 აგვისტოდან თვის დამლევამდე. (5—3)

გამოვიდა და ისყიდება
ახლად შეკვეთილი
სურათებიანი ფოსტის ქაღალდი
(აქვს ფერადად ამირანის სურათი)
ფასი თითო თაბახისა თითო კაპეიკი
ასობით 70 კაპ.
ვინც ერთბაშად 500 თაბახს იყიდის, იმას 3 მან. 50 კაპ დაეთმობა.
უმთავრესი საწყობი: ქ. ბათომში მიხეილ გაჩეჩილაძესთან და დ. ყვირილაში ილია მაღლაკელიძესთან. მსურველთ შეუძლიანთ ფას-დადებითაც გამოიწერონ.
г. Батумъ. М. Гачечиладзе. (20—2)

დაიბეჭდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში
მ. ლალიძის გამოცემული
ახალი თხზულება-პოემა აკაკისა
ნათელა
(ძველებური ამბავი)
წიგნი დაბეჭდილია მშვენიერს ქაღალდზე, შეიცავს 72 გვერდს.
ფასი თითო აბაზი.
ვინც ას წიგნს ერთათ ნაღდ ფულზე იყიდის გამომცემლისაგან ქუთაისში, დაეთმობა 20%. მსურველთ ფასს დადებითაც გაეგზავნებათ. (50—12)

თავ. დიმიტრი მაჩუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი (სოხუმის ოლქში)
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისა და განისა.
ფასი მასალებისა მეტად იაფია
უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით:
ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმიტრი მაჩუტაძეს.
ფოსტის ადრესი: *Батумъ, кн. Дим. Мачутадзе,* ანუ *Очемчиры, Т. Чачава.*
ЛѢСОПИЛЬНЫЙ ЗАВОДЪ кн. Д. Мачутадзе и Т. Чачава.
Кодоры (Сухум. окр.)
Главный складъ въ Батумѣ. 300—164)

ქალ-ვაჟთა სასწავლებელი
ელენე ბახტაძისა
დ. ხონში
საკუთარს სახლში, ბაღის პირდაპირ.
სასწავლებელი ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიის მოსამზადებელ და პირველ კლასებისათვის.
წლიური გარდასახადი 20 მან.
(5—1)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა.
დილაობით:
ყ. მ. ჩიქოვანი, 9–10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი, დილის 11–12 საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.
ა. ჰ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვებისა.
ა. გ. გურკო. დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.
საღამოობით
ა. მ. ბუდინოვი. 6–7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.
ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა—დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნიარ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 სათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია.
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. გერრატი.
დედათა ავად მყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ბ თოფურია.
Лѣчебница *С. В. Топуріа* въ Кутаисѣ.

დეპეშები

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“
«რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან.

13 აგვისტო.

პეტერბურგი. ტროიცკის ხიდის საძირკვლის ჩაყრის შემდეგ, პრეზიდენტმა ნახა ფრანგ-რუსეთის საზოგადოების ქარხანა, სადაც მუშები დიდის ამბით დაუხვდნენ პრეზიდენტს. ფორმა დაწვრილებით დაათვალიერა ქარხანა და მერე წაბრძანდა სახელმწიფო ქაღალდის მოსამზადებელ ქარხანაში, სადაც საფინანსო მინისტრი მიეგება. აქაც დაწვრილებით დაათვალიერა ყოველისფერი. ამის შემდეგ პრეზიდენტი სადარბაზოდ იყო ყველა უცხო ქვეყნების ელჩებთან და მერმე მობრუნდა საზამთრო სასახლეში, სადაც ამის მოსვლამდე მოგროვილ იყო დიპლომატიური კორპუსი. კორპუსის მიღების შემდეგ პრეზიდენტი გადავიდა მეორე დარბაზში, სადაც მიეგებნენ დეპუტაციები, პეტერბურგის და მოსკოვის თავად-აზნაურობა, ერობა, ქალაქების სამმართველოს დეპუტაციები, ვაჭრებისა და ხელოსანთა დეპუტაციები და სხვანი. ამ დეპუტაციებს პრეზიდენტს უდგენდა საშინაო საქმეთა მინისტრი. დეპუტაციებმა მიართვეს პრეზიდენტს სხვა-და-სხვა ნობათები, ჯერ მარილი, ადრესები და სხვა. 7 საათზედ გათავდა დეპუტაციების მიღება. სასახლიდან პრეზიდენტი გაემგზავრა საფრანგეთის საელჩოში, სადაც მიიღო ფრანგების დეპუტაციები სხვა-და-სხვა რუსეთის ქალაქებიდან. საღამოზე საელჩოში სადილი იყო გამართული.

საღამოს თერთმეტ საათზედ, პრეზიდენტი გაემგზავრა ბალტის ვოგზალზე. გზა-და-გზა ქუჩებში აუარებელი ხალხი იდგა და ვაშას და ურას ძახილით ეგებებოდა პრეზიდენტს. პრეზიდენტი მატარებლით გაემგზავრა პეტერგოფში.

სადილმა, გამართულმა საფრანგეთის ზღვაოსნებისათვის, საგანგებოდ ჩაიარა.

პარიზი. ტულონიდან იწერებიან, რომ მთელი ქალაქი ლხინშია. ქალაქი და გემები გაჩირაღდნებულები არიან. ზღვაოსნობის მინისტრმა ბრძანება გასცა: ზღვაოსნები ამ დღეს დათხოვნილ იქმნენ მუშაობისაგანო. პრეზიდენტის მიღებამ რუსეთში მთელი საფრანგეთი აღტაცებაში მოიყვანა.

პარიზი. მელინმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა პრეზიდენტს ფორს პეტერგოფში: ,,სამინისტრო კაბინეტს პატივი აქვს გამოუცხადოს რესპუბლიკის პრეზიდენტს უღრმესი მღელვარება, რომელსაც ჰგრძნობს იგი იმ დიდებული დახვედრა-მიღების გამო, რომელიც გამოუცხადა რუსეთის მთავრობამ და ერთმა პრეზიდენტს. სამინისტრო კაბინეთი გთხოვთ გამოუცხადოთ მათს უდიდებულესობათ უპატივცემულესი და მოწიწებითი მადლობა, როგორც თვით კაბინეთისაგან, აგრეთვე მთელი საფრანგეთის ერისაგან, რომელიც ხელს აწვდის მოკავშირე და მეგობარს ერს.''

სიმლა. ოფიციალურის წყაროებიდამ სჩანს, დიდ-ძალი აფრიდიები ჩამოდიან ხაიბერის სივიწროიდამ. ამბობენ, დამულლას შეუკრებია მაჰმადიანნი, რათა თავს დაესხან მაშნა-შაბჰაპარს, კოჰათში კიდევ გაგზავნეს ჯარები.

ფეშავერიდამ იუწყებიან დეპეშით, რომ სიმაგრე მოდზე იერიში მიუტანიათ. აჯანყებულთა მეორე ჯარი კადამუსაკენ გაიწია. ამბობენ, ყველა აფრიები აჯანყებულან.

სიმლა. აჯანყებულნი ხაიბერის სივიწროედამ მიისწრაფიან მტრისაკენ.

ავღანიის ემირმა შეუთვალა ხელმეორედ ინდოეთის მთავრობას, რომ თუ ვინიცობაა ხალხი აჯანყდა, პასუხის მგებელი მე არ ვიქნებიო.

ბომბეა: სიმლადამ დეპეშით იუწყებიან, რომ ხმები დადის, ვითომ აფრიდებს აუღიათ სიმაგრეები: ალი მუსჯიდ და მოდიო.

ლონდონი. ოფიციალურის დეპეშებით იუწყებიან, რომ ინგლისის ჯარები იძულებულნი შეიქმნენ პეშევერის ოლქში ორი სიმაგრე დაეცალათ. ხაიბერის სივიწროეს შესავალთან ჯარებმა სროლა გამართეს, რის შემდეგაც აჯანყებულთა უკან დაიხიეს. გუშინ აფრიდებმა აიღეს და გადასწვეს სიმაგრე მოდ, რომლიდამაც ადგილობრივი ჯარის-კაცნი გაიფანტნენ; მათ შორის 3 კაცი მოჰკლეს.

სტამბოლი. დღეს გალატაში შეიპყრეს ვიღაც საეჭვო სომეხი, რომელიც პოლიციელს მოკვლას ემუქრებოდა.

* * *

კანონი და მთავრობის განკარგულება.

სამხედრო უწყება. გადაყვანილ იქმნა: ბაშკადიკლიარის რეზერვის ბატალიონის პოდპორუჩიკი მიმინოშვილი ასლანდუზის რეზერვის ბატალიონში.

ადმინისტრაცია. უმაღლესად ებოძათ სამსახურის წელთა შესრულების გამო კოლეჟსკი რეგისტრატორობა: გორის მაზრის სამმართველოს საქმეთა-მწარმოებელს ინაშვილს და სიღნაღის მაზრის სამმართველოს მოხელეს ნასიძეს.

ადმინისტრაცია. გადაყვანილ იქმნა: გუნიბის ოლქის უფროსის თანაშემწე, ნადვორნი სოვეტნიკი თავ. შალიკაშვილი—ავარის ოლქის უფროსის თანაშემწედ, დაღესტნის თემში.

ბიბლიოთეკა

დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდამ: შუშის სატუსაღოს ზედამხედველი კოლეჟსკი ასესორი მახარაძე და ყაზახის სატუსაღოს ზედამხედველი კოლეჟსკი ასესორი კარგარეთელი.

დანიშნულ იქმნა: განჯის სატუსაღოს მმართველად— განჯის გუბერნატორის კანცელარიის მმართველის თანაშემწე— გუბერნსკი სეკრეტარი მიქაბერიძე.

გადაყვანილ იქმნა: განჯის მაზრის უფროსი ყანჩელი.—ყაზახის მაზრის დროებით მმართველად.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდამ მისივე თხოვნისა თანახმად: სიღნაღის მაზრის სამმართველოს მოხელე გლადიმერ გიქიმყრელი.

სამოსამართლო უწყება. ჩარიცხულ იქმნა: ნოვოროსსიის უნივერსიტეტში კურს-დამთავრებული დავით ბესარიონისძე მდივანი— უმცროს კანდიდატად სამოსამართლო თანამდებობაზე ქუთაისის ოლქის სასამართლოში.

⁂

ახალი ამბავი

⁂ **გენერალ-ლეიტენანტის ა. ა. ფრეზეს მოგზაურობა.** ბ. კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე გუშინ საავარაკო მატარებლით გაემგზავრა არდაღანში საზაფხულო ალოუმის დასათვალიერებლად; იქიდამ სხვა და სხვა დაბა-სოფლებს ინახულებს გზა-გზა და ისევ ტფილისში დაბრუნდება.

⁂ **ვალდებულია თუ არა პოლიცია სასამართლოს გარდაწყვეტილება აასრულოს?** ვიღაც ნიკოლოზ ტერ-არუთინოვს დაუთმია თორმეტის წლით თავისი მამული პოლიციის მეშვიდე ნაწილში, ვახტანგის ქუჩაზე, დარჩო გალუსტოვისათვის, იმ პირობით, რომ ამ უკანასკნელს აეშენებინა ხსენებულს მამულზე სახლი. გალუსტოვს პირობისამებრ აუშენებია სახლი, მაგრამ ამ სამის თვის წინად ტერ-არუთინოვს პირობაზე უარი უთქვამს და დარჩო გალუსტოვი გამოუსტუმრებია აშენებულ სადგომიდან. საქმე სასამართლოში გადასულა, სასამართლოს გაუსინჯვინებია სახლი ქალაქის ტეხნიკ ნაზაროვისათვის, რომელსაც ოქმი შეუდგენია, რომ შენობა ისეთია, რომ იქ დადგომა ყოვლად შეუძლებელია და საჭიროა დაუყოვნებლივ დაქცეულ იქმნასო; თანახმად ამ ოქმისა, მომრიგებელ-მოსამართლეს დაუდგენია, რომ სამის დღის განმავლობაში დაქცეულ იქმნას ხსენებული შენობა უბედურების ასაცდენადაო და ეგ გარდაწყვეტილება გაუგზავნია მეშვიდე პოლიციის ბოქაულისათვის სისრულეში მოსაყვანად, მაგრამ აგერ მესამე თვე გადის და ხსენებული შენობა ისევ ისე დგას და ზედ მეტი შიგ სდგანან უწესო ყოფა-ქცევის ქალები... ეხლა საინტერესოა გავიგოთ, ვალდებულია თუ არა პოლიცია, აღასრულოს სასამართლოს გარდაწყვეტილება და მით უბედურება აცილოს საშიშო და სახიფათო შენობის მდგმურებს?

⁂ **მალოროსთა დასის ჩამოსვლა ტფილისში.** ტფილისის საზოგადოებას ერთი გასართობი კიდევ მოელის: მალოროსთა დასი ჩამოსულა ბ-ნ დერკაჩის მეთაურობით და ამ თვის 20-დამ იწყებს წარმოდგენებს საზაფხულო თეატრში ,,ერმიტაჟში''. პირველათ წარმოადგენენ 5 მოქმედ. დრამას: ,,ნიჟი და თაყვანის მცემელი''.

⁂ **საზაფხულო პედაგოგიური კურსები.** ამ კვირაში დაამთავრებენ საკლესიო სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვას ლექციების კითხვას. მისს ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ეგზარხოსს განკარგულება მოუხდენია, რომ ყველა ის მასწავლებელნი, რომელნიც ისმენდნენ წელს ლექციებს, 17 ამ თვეს დაესწრნენ სიონის ტაძარში წირვას;იქ ეგზარხოსი ვლადიმერი წირვის შემდეგ უქადაგებს მასწავლებელთ და ლოცვა-კურთხევით გამოესალმება მათ.

⁂ **მდ. ჭოროხის ნაპირების გამაგრება.** კავკასიის გზათა ოლქის მმართველობა ამ ჟამად შესდგომია მდ. ჭოროხის ნაპირების გამაგრებას ქ. ბათომის ახლო მახლო, რომ წყალდიდობის დროს არ წალეკოს ხოლმე ახლო ადგილები. კედლების აშენებას უკვე შეუდგნენ და ამისათვის საჭირო ფულიც გადადებულია.

⁂ **ზღვაოსნობის ახალი საზოგადოება.** რუსეთში არსდება ახალი საზოგადოება ზღვაოსნობისა,რომლის გემებიც შავისა და აზოვის ზღვების ნავთ-სადგურის შუა ივლის ხოლმე. ამ საზოგადოებას თანხად ექმნება 1,460,000 მანათი. ამ ზღვაოსნობის საზ. დანიშნულება, განსაკუთრებით, გადატან-გადმოტანა იქმნება. იქნება ღმერთმა უშველოს ჩვენს მხარეს და ამნაირის შეცილებით სხვა და სხვა ზღვაოსნეფასი დაუკლონ ბარგის გადაზიდვაზე და ამით გზა გაეხსნას ჩვენი ქვეყნის ნაწარმოებს და ჰირნახულს რუსეთის შიდა გუბერნიებში.

⁂ **ახალი სომხური ეკლესია ქ. ბათომში.** გაზ- ,,ნორ-დარ''-ს შეუტყვია, რომ მთავრობას ნება დაურთავს ბათომში სომეხთა ახალის ეკლესიის აშენებაზე.

⁂ **სომხური ჟურნალი „არარატი“**, რომელიც ქ. ეჩმიაძინში გამოდის, ამიერიდამ უნდა წარუდგინონ ხოლმე ცენზორს ნება-დასართველად.

⁂ **ვაზის ავადმყოფობა ბლეკროტი კახეთში..** სამეურნეო სამინისტროსაგან გაგზავნილ პროფესორ იაჩევსკის კახეთში რამდენსამე ადგილას აღმოუჩენია ვაზის ახალი ავადმყოფობა ბლეკროტი. საკვირველია სწორედ ამ ბლეკროტის საქმე, ზოგნი ამბობენ არ არისო, ზოგნი კი პოულობენ კიდეც ბლეკროტს კახეთში, ვის დავუჯეროთ.

⁂ **სამხედრო ბეგარა. 1897 წ.** ტფილისის ქალაქის სამხედრო საბჭომ' წლეულს ოქტომბერში უნდა მიიღოს სალდათად 93 ახალ გაზდა კაცი, ამათში 60 კაცი ადგილობრივი მცხოვრებელთაგანი იქნება (სომხები და ქართველები) და 33 კაცი —მოსული ტომისანი (რუსები, პოლშელები, გერმანელები ებრაელები, თათრები და სხვ.)

⁂ **ახალი ბაღი ტფილისში.** ქალაქის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს, გააშენოს სასეირნო ბაღი ვარდის უბანში ავლაბარში. რადგანაც ადგილი ძალიან ცოტაა თავისუფალი, ამიტომ კერძო მეპატრონეებს განუზრახავთ იშუამდგომლონ მთავრობასთან, რომ ნება დართოს ფულის შეკრებისა ერთმანეთში მიდნის ახლო-მახლო მამულების საყიდლათ.

⁂ **ქალაქის შემოსავალ გასავალი.** ქალაქის ფულით შეძლების რაოდენობას დავინახავთ შემდეგის რიცხვებით: წლის თავიდამ ივლისის პირველამდე ქალაქს შემოუვიდა 542,026 მანათი 79 კაპ.; ივლისში შემოვიდა 107,767 მ. 14 კაპ. სულ შემოსულა 649, 793 მან. და 92 კ. პირველ ივლისამდე დაიხარჯა სხვა და სხვა საჭიროებებზედ 551,759 მ. 2 კ. ივლისში—63,989 მან. 65 კ. სულ დახარჯულა 615,748 მ. 67 კ. შემოსავალი აღემატება ხარჯს 34, 045 მანათით და 26 კაპიკით.

⁂ **მისაღები და განმეორებითი ეგზამენები.** ტფილისის საქალებო I გიმნაზიაში მისაღები და განმეორებით ეგზამენები დანიშნულია 25, 26, 27 და 28 აგვისტოს. ამავე დღეებში მიიღებიან თხოვნები პირველ განყოფილებაში და VIII კლასში მისაღებათ.

— ტფილისის მე 3 საქალებო გიმნაზიაში განმეორებით ეგზამენები ამავე დღეებშია დანიშნული, მისაღები მოსამზადებელ და I კლასში 28 აგვისტოს.

— ტფილისის სავაჟო მე-3 გიმნაზიაში მისაღები ეგზამენები დანიშნულია 28 აგვისტოს მხოლოდ I კლასში და მოსამზადებელ განყოფილებაში, განმეორებითი 25, 26 და 27 აგვისტოს.

— ქუთაისის საქალებო წმ. ნინოს სასწავლებელში მისაღები და განმეორებითი ეგზამენები დანიშნულია 21—აგვისტოდამ—1 სექტემბრამდე. მიიღებიან მხოლოდ მოსამზადებელი კლასის უმცროს განყოფილებაში და 7 კლასში.

⁂ **საქონლის ჭირი.** ტფილისის გუბერნიაში წარსულ ივლისის თვეში საქონლის ჭირი იყო შემდეგ ადგილებში: გორის მაზრაში იყო ათ სოფელში, დახოცა 299 სული სხვილი საქონელი; დუშეთის მაზრაში ხუთ სოფელში, დახოცა 28 სული; თიანეთისაში ოთხ სოფელში—16 სული; თელავისაში 3 სოფელში—46 სული; ტფილისის მაზრაში 13 სოფელში დახოცა 282 სული. მთელ გუბერნიაში 35 სოფელში იყო მოდებული ჭირი და დახოცა 1338 სული; კიდევ დიდძალი საქონელია თურმე ავადმყოფი. ამ ციფირებიდან აშკარად სჩანს, რა ნაზარალებია ჭირისაგან ქართლ-კახეთი.

⁂ **ჩალბი ამანათი.** ,,ტფილისის ლისტოკს'' ტელეგრამმით ატყობინებენ იგდირიდამ შემდეგ ამბავს: ,,იგდირის ხაზინამ მიიღო ტფილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილებიდგან კონვერტი, რომელშიაც უნდა ყოფილიყო ორმოცდა ათი ათასი მანათი, მის მაგივრად კანვერტში გაჰვეული იყო უბრალო სქელი ქაღალდი''.

⁂ **ახალი წიგნი.** გამოვიდა ,,ახალი მკითხველის'' მეოთხე გამოცემა ,,პარტახი'', განსვენებულის ეგნ. ნინოშვილის მოთხრობა. წიგნი სუფთად არის გამოცემული, დაბეჭდილია კარგს ქაღალდზედ, შეიცავს 67 გვერდს დიდის ზომისას და ღირს ერთი აბაზი. ეჭვი არ არის, ეს წიგნი მალე გაიყიდება და გავრცელდება მდაბიო ხალხში; ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ,,ახალს მკითხველს'' განუზრახავს ,,სამეცნიერო'' გამოცემათა გარდა ხალხს მიაწოდოს შესაფერი წიგნები. ღმერთმა ჰქნას, რომ ეგ უკანასკნელი წიგნი არ იყოს ამისთანა შინაარსისა.

⁂ **დ. ხაშური. ზღაპრული ამბები.** არა მგონია სადმე მოიპოვებოდეს ისეთი ზღაპრული კუთხე, როგორიც არის ხაშური. „ძაღლი პატრონს ვერა სცნობსო“, სწორედ აქაურებზე ითქმის. უბედურება ის არის, რომ ამოდენა დაბას პატრონი არ გააჩნია. იმას-კი ნუ იფიქრებთ, კაცები არ იყვნენ, რომ უპატრონონ,—როგორ არ არიან! დაბას ბოქაულიცა ჰყავს, მამასახლისიც, მწერალიც, გზირებიც... მაგრამ რა გამოვიდა?

მამასახლისი, რომელიც „ძალიან კარგს კაცსა ჰგავს“, არ უნდა ვისმეს აწყენინოს, ვაი თუ შემდეგ არჩევნებში აღარ ამომარჩიონო, ზის არხეინად დუქნებში „ჯეელ კნიაზებთან“ და ,,გაუმარჯოს ჩვენს საქართველოს'' გასძახის. ყველას ,,შენიჭირიმე'' და ,,გენაცვალეს'' ეუბნება. ბ-ნ ბოქაულზე ხომ ჩვენ არა გვეთქმის-რა, იმაზე უჩვენოდაც ბევრი უწერიათ...

უსუფთაობას ხომ ნუღარ იტყვით. ვითომ ამათაც საზიდი საჯავეე (პოვოსკა) აქვთ... დილით ადრიან მოხვეტავენ ქუჩიდან ნაგავს და წაიღებენ, შემდეგ-კი მთელის დღის განმავლობაში აქაური მედუქნეები გადმოჰყრიან ხოლმე დამპალ ნესვებს, პამიდორებს, საზამთროს ქერქებს და სხვ... ასე რომ მთელი ბაზარი გამუდმებით მაინც ნაგვით მოდებულია.

ყველა უბედურებასთან ერთად აქაურ ყმაწვილ „კნიაზებს“ და აზნაურებს ერთი ყოვლად საზიზღარი ზნე სჭირთ: იმას გარდა, რომ შუადღისას დაფითა და ზურნით მთელი ხაშურის დუქნებს უვლიან და უმიზეზოდ ხან ვის წაარტყამენ კისერში, ხან ვის გალანძღავენ და ზოგს მასხარად იგდებენ... რევოლვერებსაც-კი ისვრიან შუადღისას, როცა იმოდენა ხალხი ირევა ბაზარში. ურევოლვეროდ ხომ არც ერთი არ დადის—დიდი სირცხვილია... ამას წინად ამ უმიზეზო რევოლვერების სროლამ აქ ერთი პატიოსანი ვაჭარი იმსხვერპლა (დევდარიანი). ამ უბედურებამ დაშინების მაგიერ უფრო გაავრცელა რევოლვერების სროლა.

ერთად-ერთი ბაღია სულის მოსაბრუნებელი და იმაშიც-კი შიშით რიგიანი კაცი ვერ შედის და ვერ შეჰყავს თან თავისი ოჯახობა იმიტომ, რომ თითქოს ,,ასპინძის ომიაო'', ისე გაუდის რევოლვერებს ჰახა-ჰუხი.

იმ დღეს ერთი ,,ჯეელი ბიჭი'' დამთვრალიყო, ხელში დანა დაეჭირა და ისე დადიოდა ბაზარში ყვირილით; ვიღასაც ემუქრებოდა: გამოდი, მოგკლავო!.. მოვაჭრეებმა შიშით დუქნები დაჰკეტეს. ეს ამბავი მოხდა იმ ქუჩაზე, სადაც თვითონ ბოქაული სცხოვრობს; სწორედ ამ დროს ბოქაულის სახლიდან ჩაფარ... გამოვიდა და სადღაც წავიდა, თით... ქოს აქ არაფერი ამბავიაო.

სწორედ ასევე მოიქცენ აქ რამდ... ნიმე მოქეიფე ,,ლოთი-ფოთი ჯე... ლები'', როცა ქართული წარმოდ... გენა იყო; სცენაზე აპირებდნენ შ... სვლას ზურნით, როცა მოქმედებ... სწარმოებდა, ამის გამო ერთი ომ... და ვაი-ვაგლახი მოხდა... თუმც... ზოგიერთი პოლიციის წარმომადგე... ნელი იყო იქა, მაგრამ საჭიროდ... არა სცნეს საქმეში გარეულიყვნენ, ისე დაუსჯელად გაბრუნდნენ და... მეორე დღეს იმუქრებოდნენ კიდეც.

ამისთანა ამბები აქ ძალიან ბევრი... და ხშირია. სულ რომ დაიწეროს მთელი გაზეთიც ვერ აუვა! აქაურმ... ადმინისტრაციამ იმას მაინც მიაქცი... ოს ყურადღება, რომ ქუჩასა და სა... ზოგადო შეკრებულებაში რევოლვე... რების სროლას თავი დაანებონ, თორემ კიდევ სხვა ბევრი უბედურე... ბა დატრიალდება. ნუ თუ დევდა... რიანის სიკვდილმა მაინც არ აუხი... ლა აქაურებს თვალი? მაგრამ, რო... გორც ზევითა ვსთქვი, ვინ არის პა... ტრონი და ყურის-მგდებელი!..

ბევრს იქნება დაუჯერებელი დ... საარაკო ეგონოს ჩამოთვლილი ამ... ბები, თავს-გასვლა და ურიგობა, მაგრამ ნამდვილი კია...

არა აქაური.

⁂ **ს. ბეკმარა** (ქართლი). **ურია**... **გაძარცვა.** ამას წინად ს. ბეკმარში აშკარად გაცარცვეს ავაზაკებმა ერთ... ცხინვალელი ურია ილია ისაკის ... მამისთვალოვი. თურმე, იგი მოდ... ნილა ს. ბეკმარში ცხენით, სავა... როთი დატვირთული, სადაც სდი... მებია დაეღამებინა, რადგან იქ... ჰქონია საკუთარი თავ-შესაფარ... მისულა, ჩამოუხსნია საპალნე ცხ... ნისათვის, შეუტანია შინ, ცხენ... დაუბინავებია და ახლა თვითო... ბინავდება, რომ თავზედ წამოა... გნენ სამი ნაბდებში გახვეული კაც... ორი მათგანი ყოფილან უფრ... ყმაწვილები და შეიარაღებული თოფებით, ხოლო მესამე დაბა... დაბალი, ჩასხმული და ცოტა ჭ... ღარა შერთული. ურიას ორი ... ვერ უცვნია, ხოლო მესამე-კი ც... ტა ნიშანში მოსვლია; ყველაფე... მოჰგონებია, როგორც, ის ჭაღ... რა-შერთული დადიოდა ილიკ... ფუხაშვილთან, რომელსაც ერთხე... გაეცარცვა კიდეც ეგ ურია.

აბა რისთვის შევიდოდნენ სხვი... სახლში დაუპატიჟებლად უცხო კა... ცები თუ არ სიავკაცობისთვის. ავა... ზაკებმა მოსთხოვეს ურიას სხვა დ... სხვა ფარჩეულობას და ჩითეულობას, ურიამაც უარი ვერ განაცხადა დ... ნაჭერს ნაჭერზედ აწვდიდა; იმათაც... ერთი კარგი ბოხჩა გამოჰკრეს 14... ნაჭერი სხვა და სხვა ფართეულობით. მერმე იქვე ურიას ეზოშივე მომუ... შავე გლეხს კონა კეხოშვილს და... უძახეს, რომელიც არ დაზარდა... მოატანინეს არაყი და კარგათ შექე... იფიანდნენ: როცა გული იჯერეს, არხეინად გამოვიდნენ და გაუდგნე... თავიანთს გზას. იქნება იკითხოთ, რ... დრო იყო, როცა სცარცვავდნენო... რა დრო და საღამოს 5—6 საათ... ყოფილა. მერე რას აკეთებდნენ... მეზობლები, რომელნიც იყვნენ მო... წამენი ამ ამბისა? რა უნდა ექნათ, ღმერთს ევედრებოდნენ: შენი რის... ხვა გვაშორე, ნუ გვაწევ იმისთან...

მხედრსაო! და მაშინ ავაზაკებს რომ ებრძანებინათ მაიმუნობა ითამაშეთო, სიხარულით ითამაშებდნენ.

„სოფელი ვნახე უძაღლო, გამოვიარე უჯოხო", სწორედ ამაზედაა ნათქვამი; იმ სამმა ვილაცა მაწანწალა ოსმა ასე შეაშინა ყველანი, რომ ვერაფერი ჰქმნეს. ან-კი რას იზავდნენ: არც ერთს არა აქვს იარაღი, რომ მცირეოდენი რამ ავაზაკსაც ჰქონდეს საშიშო და საფიქრებელი. სწორედ, აბა, ეგარის მიზეზი ამდენი ხნის მათის დაუსჯელად ნავარდობისა, ძრიელ კარქს იზამდა მთავრობა, იარაღებს რომ დაურიგებდეს ადგილობრივ მკვიდრთ თავიანთ თავის და სოფლების დასაცველად.

ბოლოს, როგორც აღმოჩნდა პირველი ორი ავაზაკი ყოფილან საბა თედეშვილი და გაბო გიგოლაშვილი, მესამეს გვარი-კი დღესაც არ იციან ნამდვილად. ზოგი იძახის—კურა ოსტაშვილიაო, ზოგი—კურა თედეშვილიაო და სხვა.

ალ. ალაზნისპირელი..

⁂ **ქ. ქუთაისი. ცხენის მოპარვა.** 5—6 აგვისტოს ღამით ცხენი მოჰპარეს ვ. ქ—იანს, ორპირის ქუჩაზე, რომელიც ღირდა თერთმეტი თუმანი, ისე რომ არავის გაუგია. ნეტავ, ვიცოდეთ, რას აკეთებენ ჩვენი ღამის ყარაულები (ათისთავები)! ნუ თუ იმისთვის ეძლევათ ჯამაგირი, რომ იძინონ? აშკარაა, რომ ისინიც ქურდების თანაშემწე უნდა იყვნენ, თუ არა და ქურდს საიდან შეუძლია ცხენი კი არა, უბრალო რამ ნივთი მოიპაროს იქ, სადაც ყარაულები დგანან!... თუ უფროსებისაგან ყურადღება არ მიექცა ამ გვარ ურიგობას, თქვენი მტერია, მაშინ, ცხენს კი არა, ჩვენც წაგვიყვანენ სახლიანათ ისე, რომ ჩვენი ღამის მცველები „ვერას გაიგებენ" და იქნება სიზმარშიაც არა ნახონრა.

— **საზაფხულო კურსები.** აგერ მოახლოვდა დრო სოფლის სამრევლო მასწავლებლების დათხოვნისა და დაიწყო გამოცდა. 7 აგვისტოს ჰქონდათ ქართულ-რუსულის გალობის გამოცდა იმერეთის და გურია-სამეგრელოს ეპარქიის მასწავლებლებთ. გურულ-მეგრელთ, როგორც საზოგადოთ ნიჭიერნი გალობა-სიმღერაში, გაიმარჯვეს ქართულში, ხოლო რუსულში-იმერლებმა. 8 და 9 ამა თვეს იქნება გამოცდა სამეურნეო ნაწილში.-.

გურულ-მეგრელი.

⁂ **ს. ბაკურციხე** (კახეთი). **საქველ მოქმედო საღამო.** წარსულს კვირას საცეკვაო საღამო იყო გამართული. ამ საღამოდგან შემოსავალი დანიშნულ იყო, როგორც წინათ გვაუწყეს, დასახმარებლათ ორის ახალ გაზდა ყმაწვილისა, რომელთაც წელს გიმნაზია დაამთავრეს და უნივერსიტეტში ემზადებიან და შეძლება კი ხელს არ უწყობთ. ერთი კ. ან—შვილი დაასახლეს და ერთიც ვ—აძე.

საცეკვაო საღამოს თუმცა ხალხი ძალიან ბევრი არ დაესწრო, მაგრამ ბილეთები კი ბლომათ გაიყიდა. საღამოსაც არა უჭირდარა, მხიარულათ ჩაიარა. წმინდა შემოსავალი 130 მანათი დარჩაო. მაგრამ ეს ფული სულ მთლათ მარტო ერთი ყმაწვილისათვის, სახელდობრ ან—შვილისათვის მიუციათ და ვ—ძე კი სულ ცარიელზე დაუტოვებიათ. გვიკვირს, ღმერთმანი, როგორ ეხუმრებიან და ეთამაშებიან საზოგადოების სურვილს—ნეტა რა ნება ჰქონდათ, რომ ჯერ საზოგადოებას უცხადებენ ამის და ამის სასარგებლოთ შემოსწირეთ ფულიო და მერე კი თავიანთ სურვილით, ვისაც უნდათ იმას არგუნებენ—ამასთანავე ურიგო არ იქნება, რომ საქმის მოთავეთ გაზეთის საშუალებით შეგვატყობინონ სრული ანგარიში - შემოსავალ-გასავლისა.

ტარ—გან.

სოფ. გორისა. (იმერეთი) **უეკლესიობა.** ჩვენი ეკლესია იმდენად შეძველდა, იმდენად შეირყა კედლები, რომ შიგ წირვა—ლოცვა საშიში შეიქმნა და დაჰკეტეს კიდეც; ამ გარემოებიმ გააღვიძა გორისლები, როგოოც იქმნა შეიგნეს, რომ დროა ეკლესიის შეკეთებისა; მაგრამ აქაც ,,პარტიობა'' შეიქმნა, ყველამ მეთაურობა მოინდომა, ყველამ ხუროთ-მოძღორობა დაიჩემა და წარმოადგინა თავისი გეგმა ეკკლესის შეკეთებისა. ამასობაში, დრო უბრალოდ იკარგებოდა. ბოლოს, როგორც იქმნა, საქმე გადაწყდა, შეადგინეს გეგმა და მოიწვიეს ოსტატები, რომლებსაც გაურიგდნენ ნარდად ას სამოც თუმან ფულად და გარდა ამისა თითოეულს კომლს უნდა გამოეღოოსტატებისსასარგებლოდ ორი ბათმანი სიმინდი, ერთი ქათამი, ღვინო და ლობიო, ხოლო ყოველივე საჭირო მასალა: ხე-ტყე, კირი, ქვა და აგური სოფელს უნდა მოემზადებია და ეკლესიასთან მოეტანა თავისავე ხარჯით. კაცმა რომ სიმართლე სთქვას, ეგ სამუშაო ამდენადაც არ ღირს, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ: ,,როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდეს''-ო; კომისიის წევრნი კი ამ საქმისთვის სრულებით არ ზრუნავენ-.. დრო გადის და მთელი სოფელი-კი უეკლესიოდ არის დარჩენილი.

იმედია, ამ გარემოებას კომისიის წევრნი თითზედ დაიხვევენ.

გორისელი.

⁂ **ს. სუჯუნა** (სამეგრელო) **ცუდი მოსავალი და ეკლესიის დაკეტვა.** მესამე წელიწადია, რაც სუჯუნელები უფრო და უფრო ღარიბდებიან და გაჭირვებულს მდგომარებაში სცვივიან; ჯერ იყო წყალ-დიდობამ შეგვაწუხა, მერმე დიდმა თოვლმა და საშინელმა გამუდმებულმა ქარებმა ხომ მთლად ბოლო მოუღო მოსავალს; ბევრი ისეთს მდგომარებაში არის, რომ სარჩო სიმინდიც არა აქვს ოჯახში; ყველა ამას ზედ დაემატა სიმინდის იაფობა, სრულებით აღარ საღდება და ხალხი საცოდავს მდგომარებაში არის. რით უნდა გამოიკვებოს თავი და ოჯახი და რა საშუალებით დააკმაყოფილოს ყველა სახელმწიფო და სასოფლო მოთხოვნილებანი?

ახალი უბედურება კიდევ გვეწვია: ეკლესიის სახურავი იმდენად შეირყა, რომ შიგ წირვა-ლოცვა შეუძლებელია და დაჰკეტეს კიდეც; მისს გადახურვას დიდ-ძალი ფული დასჭირდება და საიდამ მოიკრიბება—ალაჰმა უწყის? კარგი-კი იქმნებოდა, რომ ასეთს გაჭირვებაში მყოფს სოფელს მეზობლები (სოფლები) ხელს მოუმართავდნენ; არც სუჯუნლები დარჩებოდნენ უმადურნი და სამაგიეროს მალ-ე გადუხდიდნენ.

სუჯუნელი.

⁂ **ს. გორდი** (სამეგრელო) **ხიდის უქონლობა.** ამ ხუთის წლის წინად თომა ჩიქოვანს და თ. მელიტონ ლორთქიფანიძეს განუზრახავთ ხის ხიდის გაკეთება მდ. ცხენის წყალზე, ს. ქუთაისისკენ მიმავალ გზაზე, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო თავი მიუნებებიათ; თუმცა ბორნები არის გაკეთებული, მაგრამ უზომო სასყიდლით შეგვაწუხეს და რაღად გვინდა ამისთანა ბორანი, თუ რიგიანი ნიხრი არ დაგვედება და ტყავს გაგვაძრობენ. ეხლა ვთხოვ თ. მელიტონ ლორთქიფანიძეს და თომა ჩიქოვანს, კვალად დაიწყონ ხელში ხიდის გაკეთებისათვის საუბარი და რამდენს ისინი გაიღებენ, იმდენს შემწეობასაც ჩემგან მიიღებენ და ამით კეთილს მოუტანთ ჩვენს საზოგადოებას.

გიორ. თოფურიძე.

⁂ **სოფ. ბაღდათი** (გურია). **სამწუხარო მოვლენა.** „კარგი რამ მჭირდეს—გიკვირდეს, ავი რასაკვირველია", ზედ გამოჭრილია ჩვენზე. ჩვენს გლეხ-კაცობას სოფლებში, რაღაც უბედურებაა, თან და თან უფუჭდებათ ზნე, ნამუსი ეკარგებათ, შიში და სირცხვილი ფეხით სთელავად გახადეს; ოჯახი ავიწყდებათ და ცოლ-შვილის ამბავს აღარ ჰკითხულობენ, სოფლის მოთხოვნილება და მტერ მოყვარე ფეხეშზედ ჰკიდიათ; დაეხეტებიან მუდამ დღე ამა თუ იმ თავად-აზნაურის ოჯახში, იქ ტაკი-მასხარაობენ, ლოთობენ და ნარდ-ქაღალდს შეექცევიან, შინ-კი ოჯახს შიმშილით კუჭი ეწვის. ძრიელ ცუდს მაგალითებს გვიჩვენებენ ხოლმე გლეხებს ზოგიერთა თავადნი, რომელთაც ჯერ-ჯერობით (?) კიდევ აქთ უზრუნველი პური და ღვინო, ისინი ხომ მუდამ ქეიფსა და დროს გატარების მეტს ირას ჰფიქრობენ და გლეხები მაინც რად აიყოლეს, რად რყვნიან მათ, ზნე-ჩვეულებათა რად ავიწყებენ ოჯახისადმი მოვალეობას, რად უთხრიან სამარეს?

რაც მოგახსენეთ ამის დასასაბუთებლად მოვიყვან ერთ საზიზღარს შემთხვევას: ამ ათის თვის წინად აქაურმა გლეხმა, X-მა შეირთო ცოლად უ-ძის ქალი; პირველ ხანებში ბედნიერად ცხოვრობდნენ ცოლ-ქმარი; ქმარს ცოლი უყვარდა, მისს სიამოვნებას ცდილობდა და ცოლიც ერთგულათ და ბეჯითად შრომაიდა ოჯახში, მაგრამ მათი ტკბილი და უდარდელი ცხოვრება დღე-მოკლე შეიქმნა; ქმარმა მალე აიცრუვა გული ოჯახზე, მუშაობას თავი დაანება და ნთელი დღეობით შინ არ იყო ხოლმე- დაეხეტებოდა მეზობლებში და, უდარდელად, მუდამ ქეიფსა და ნარდ-ქაღალდის თამაშში ატარებდა დღე-ღამეს. ახალ-გაზდა ქალი მეტად შეაწუხა ქმრის ასეთმა საქციელმა, მაგრამ ვერასფერს უბედავდა; ბოლოს, მოთმინებიდამ გამოსულმა ცოლმა, კრძალვით საყვედური უთხრა ქმარს: ,, განა შენსავე უნდა ისჯებოდეს ახლად დასახლებული კაცი, განა ეგრე აშენდება ოჯახი, ან მე რად მაუბედურებ, ან თავისთავს რად იღუპავო? ამ გვარი საყვედური ქმარმა იწყინა, გამოაგდო სახლიდამ ცოლი, დაჰკეტა სახლის კერები და გაემგზავრა თავის მამისნაცვალთან, ცოლსაც უთხრა: ,,თუ გინდა გამომყევ, თუ არა და, სადაც გინდა იქ წადიო''. ცოლი არ გაჰყვა მას. თავის მამასთან წავიდა და შესჩივლა თავისი უბედურება. შეურაცყოფილმა მამამ მიჰმართა მამასახლის: ჩააგონე რამე ჩემს სიძესო. მამასახლისი მივიდა X-თან-და თან იახლა ჩაფრები, მაგრამ ზნე გაფუჭებულს ქმარზე არავითარი გავლენა არ იქონია მამასახლისის დარიგებამ და ქადაგებამ. მაშინ მამასახლისმა უბრძანა ჩაფრებს; ,,შეჰკარით, ურემს დააკარით და სასამართლოში მომგვარეთო!'' თავ-მომწონე და გაამაყებულმა რაინდმა ეგ განკარგულება იუკადრისა და იშიშვლა სატევარი, მამასახლისმაც დამბაჩა ამოიღო და ცოტა გასწყდა სისხლი კინაღამ დაიღვარა , მაგრამ იქ მყოფთ დააშოშმინეს ორნივე მეტოქენი. მამასახლისმა შესაფერი ოქმი შეადგინა, მაგრამ ისიც იქავე დაახევიეს თავ-გასულის ქმრის მომხრეებმა.

ამ ნაირად დღეს-დღეობით საბრალო ქალი მამასთან ცხოვრობს, მისი ქმარი-კი დანავრდობს, ლოთობს და ნარდ-ქაღალდს შეექცევა უდარდელად,

ბოლოს აღმოჩნდა, რომ X-სი სხვა ,,მანდილოსნებს'' გადუბირებიათ და მათთან ტრფობა-სიამოვნებაში შესძულებია ულმობელს ქმარს საკუთარი ცოლი.

ამის თაობაზე ქალის მამამ სადაც ჯერ არის უჩივლა სიძეს და ალაჰმა უწყის რით გათავდება საქმე, ხოლო ჩვენის მხრით არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ, რომ ამ საქმის დაბოლოვებას დიდი მნიშვნელობა ექმნება და სასტიკი განაჩენი კარგი მაგალითი იქმნება სხვებისთვის.

ილიკო.

⁂ **ქართლი შეუძლებელი დამოკიდებულება მებატონეთა და გლეხთა შორის.** ნეტა თუ იმ დღეს მოვესწრებით, რომ ჩვენდა საბედნიეროდ, უმაღლესმა მთავრობამ ინებოს, და ჩვენ და ჩვენს გლეხთა შორის საერთო ვალდებულება მოსპოს და აღარა გვქონდესრა!

რადგან დღემდის გლეხნი, თავიანთ ნაბატონართადმი, დრ ებით ვალდებულად ითვლებიან, და არა ისე, როგორც თვით გლეხთა გონიათ, რომ იგინი როგორც თავიანთ ნაბატონართაგან განთავისუფლებულნი არიან, ეგრეთვე უთუოდ თვით იმ მამულიდანაც განთავისუფლებულნი უნდა იყვნენ, რომელიც დღეს მათ ნათლად სახნავი მამულები და კარმიდამო აქვთ „უსტავნი ღრამატით" მიზომილნი. ყოველი ნადელის გლეხკაცი დაიმედებულია, რომ მათ ეს ხსენებული მამული, თუ დღეს არ არის მათ საკუთრებად ცნობილი, ხვალ-ზეგ იქნება, თუ საგაისოთ მაინც, მათ სამუდამოთ ჩაბარდებათ უმაღლესი მთავრობის წყალობით, და შეექნებათ სრულიად უხარჯოდ დავას გაუღებლად უზრუნველ-ყოფილად. ასეთი მათი თავში გამოხატულება, რასაკვირელია, თუმცა მარტო ოცნებაა ჯერ, და სხვა არაფერი. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ამათი ასეთი ფუჭი და უნაყოფო ოცნება, ისევ ოცნებათვე რჩება, და ნამდვილი და ჭეშმარიტი-კი მარტო ალახმა უწყის, თუ შემდეგი დრო და უმაღლესი მთავრობაც, ამათ აზრს რა გარდაწყვეტილებას მიანიჭებენ. და რაფერი სასარგებლო სარჩული დეედება მისგანძრახ სურვილს.

ჩემის აზრით, უნდა გარდაწყვეტილი მოგახსენოთ, რომ მონატრულიცა ვარ, რომ ამ დროებით ვალდებულებისაგან გლეხიც და ნაბატონარებიც დროთი განგვათავისუფლონ, ბევრათ გვირჩევნიან, რადგან არა იშვიათია, რომ ნაბატონართა და ნადელის გლეხთა შორის მუდმივი უსიამოვნობა ჩამოვარდნილა. აი როგორ:

ნაბატონარი ხედავს, მუდამ თავის ნაყმევზე მიცემულს სახნავს მამულს, სრულებით მოუხნავს, რაზედაც წყრომის კილოთი აყვედრის გლეხს, რომ მამული გიჭირავს ჩემი, და ამ მამულიდგან კი არც შენ სარგებლობ, და არც მე მასარგებლებ, და მაგას მე შენ არ შეგარჩენ, გიჩივლებ მომრიგებელ მოსამართლესთან და ღირსეულად გარდაგახდევინებო.

გლეხიც უპასუხებს: მამული მე შენით არ მამცემია ბატონო! მამული ხემწიფემ მიბოძა, ეგ ჩემი საქმეა: დრო შემხვდება მოვხნავ, და დრო იქნება, ვერ მოვიცალო და ვერც მოვხნათ. თუ მოვხნავ მიწას, თავის დანიშნულს წესრიგით შენც გერგება იქიდან მეოთხედი, თუ არა და, რა გაცხარებს შედალოცვილო, თუ-კი მე სამიწილი ამ მამულში მოყვანილი ჭინახული მეკარგება, და ვთმობ, შენთვის რაღა გასაჭირია, რომ იქიდამ ერთი მეოთხედი დათმო? განა მარტო იმიმეტი მამული აღარსადა გაქ? თუ არა და რა ბევრს შეგეპუები, მინამ შენი ყმა ვიყავ, მინამ სიქას მაცლიდი, და ჩემ ოფლის ფასად ხენწიფემ მამული მიბოძა, შენით რას დავიყვედრებ? აბა ზოგი მერმის წამართვი მამულის შემოსავალი. ნაცვალმა გვითხრა, ლაპორტი მოვიდაო, საგაისოთ რაც ნადელის მამულებია ხელ აღებით გლეხებს ბარდებათო, რომ იქ თავადებს აღარაფერი საქმე აღარ აქთო.

რასაკვრელია, კარგათ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ასეთს გლეხისაგან უაზრო უთავბოლო პასუხს გულფიცხი ნაბატონარიც ვეღარ იტანს, და მაშინ რაც ხდება გლეხსა და ნაბატონარ შორის, ამას თვით მკითხველი მიხვდება.

აი სწორეთ ამისთვისაც მაქვს ჩემის მხრით სანატრელათ, ის დღე და ის წამი, რომ ინებოს უმაღლესმა მთავრობამ, და მალე განგვაშოროს ჩვენდა ჩვენი უმცროსი ძმები, გლეხთა წოდება, ურითერთისადმი ვალდებულებისაგან.

ან სულ მართლა გლეხთ შეუსრულონ ის ოცნება და სურვილი, რომელსაც იგი ყოველ წამს მოელის, რომ მათ მუქთად ჯაფას გაუღებლად მიეცემათ ნადელი, და ან თუ ღირს ვიყოთ ფასის მიღებისა, ჩვენგან მიცემულის ნადელიდან მოგვეცეს და მოვრჩეთ და მოვისვენოთ, ამდონის უსიამვნო მდგომარეობისაგან.

მართალია, იშვიათია ის მამულები, რომელიც გლეხთ ნადელათ მისცემიათ, რომ მას ვალში თავი არ ეყოს. ესე იგი ან ბანკის და ან პრიკაზის გირავო არ იყოს. მაგრამ ბევრით ჩვენთვისაც-კარგი ის იქნება, რომ ის მამულებიც გლეხთ მიეცეთ, და

ის ვალიც; ჩვენკი როგორც იყოს განგვანთავისუფლონ, როგორც გლეხთა უსიამოვნებისაგან, ისეც მთავრობისაგან მოჩენილ მუქთა ყვლეფია ოპეკუნებისაგან, რომელნიც უდიერად გირავო მამულების შემოსავალი,თ თავიანთ ჯიბე უბეს ისუქებენ, და ჩვენკი მაინც პრიკაზისა ანუ ბანკის ვალი, და ჯარიმა ერთი ორათ ისევ თავს გვაწვება. ნუ თუ ასეთს უბედურს ჩვენდა მოვლენას აღარაფერი აღარა მოევლება, და წამალი მას აღარ საიდან არ მიეცემა?

რა დღიდგანაც გლეხები ბატონყმობიდგან განთავისუფლდნენ, იმ დღიდგან დღემდის 37 წელიწადი მაინც იქნება, და ამ ხნის განმავლობაში, არც ნაბატონარი, და არც გლეხი, ურთიერთისადმი, ვერ შერიგებულან ისე, რომ მათ შორის ამ დროებით ვალდებულების მიზეზისა გამო, ერთი მეორისადმი უკმაყოფილო არ იყვეს.

გლეხს, მაგალითად, უჭირავს ათის დღის სახნავი მიწა, რომელსაც შეადგენს ნადელად მიზომილი. ამ ათის დღის მიწიდგან გლეხს კანონით დაკისრებული აქვს, რომ მან თავის ნაბატონარს, არა ნაკლებ ხუთის დღიდან მეოთხედი უნდა მისცეს. მაგრამ გლეხი ამ კანონს არ დაგიდევთ, ნებავს ხუთისას მოხნავს წელიწადში, და ნებავს კვალსაც არ გაავლებს მთელს თავის სანადელო მამულში, ჩვენში-კი ასეა და სხვათა ადგილების გლეხებისას მე ვერას მოგახსენებთ. ამისათვის აქ ნაბატონარიც მეტს სასოწარკვეთილებაში ვარდება და ბრაზი იმიტომ მოზდის, რომ თავის ნაყმევი გლეხი, თავის დანიშნულებას კანონის ძალით, ვერ ასრულებს, შორს გაურბის, მამულს აცდენს, როგორც თავისათვის ისეც ნაბატონარისათვის; ნაბატონარი აყვედრის იმაზე, რომ გლეხმა უთუოთ უნდა თავის ნადელის დანიშნულება წესიერად მოიყვანოს მუდამ წელს ასრულებაში. გლეხ აც მებატონის რჩევა დარიგება წინააღმდეგათ მიაჩნია, მას გონია, რომ მარტო იგი თავის სარგებლობისათვის ეუბნებოდეს. და აი ასეთი ჩვენ და გლეხთა შორის მოთხოვნილება, ბევრჯელ დიდს უსიამოვნებას გამოიწვევს ხოლმე. სადაცა ჩვენთვის გაშველებლად მარტო ღმერთის მეტი არ გარეულა და არც ერევა ვინმე. ახლად დაგვენიშნა, მომრიგებელ შუამავლათ დიდათ პატივცემული, ჯერედ ჩვენგან უცნობი, თავადი თარხნიშვილი, რომლის იმედითაც ვსასოებთ.

იასონ დავითის ძე ციციშვილი.

*** **ს. კარდანახი** (კახეთი). **უექიმობა.** გაზ. „კავკაზს" ატყობინებენ, რომ კარდანახი და ახლომახლო სოფლები მეტის-მეტად შეწუხებულნი არიან უექიმობით. ხმა გაისმა, რომ მალე ექიმი გვეყოლება, სწერენ, მაგრამ ვუცდით, აგერ ზაფხულიც თავდება და ექიმი-კი არსაიდამ სჩანსო.

კარდანახისა და ბაკურციხის სოფლის საზოგადოებები შეთანხმებულან, რომ ერთი ექიმი იყოლიონ და სახლის ქირად სამასი მანათი მისცენ ხოლმე ყოველ წლივ; შესაფერი სახლიც ამოურჩევიათ სოფ. ბაკურციხეში და მოუწვევიათ ექიმიც. ექიმს დაუთვალიერებია სახლი და არ მოსწონებია, რადგან იქვე განზრახვა აქვთ „სოფლის საავადმყოფო'' (пріемный покой) გამართონ; წინადადება მიუცია სოფლისათვის—დროებით ცოტა უფრო დიდი სახლი დაიქირავეთ და შემდეგში-კი საკუთარი სახლი აშენდეს საავადმყოფოსთვისაო. ამ გარემოებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, საქმე ვერ გადასწყდა და ექიმი უკან დაბრუნდა. ამ ნაირად საქმე ჯერჯერობით შეჩერებულია და ავადმყოფობა-კი თან-და-თან უფრო ვრცელდება.

თეატრის მატიანე

სურამი. საქველ-მოქმედო წარმოდგენა. ბევრი მოლოდინის შემდეგ, წრეულ გვიღირსა სურამელებს ქართულ-რუსული წარმოდგენა. ხალხი ბლომად დაესწრო, ისე რომ ჭედვა არ იყო. ფულები ბლომად შეიკრიფა და ხალხიც კმაყოფილი დარჩა. მხოლოდ ერთმა გარემოებამ გაგვაოცა და გაგვაბოროტა კიდეც: აფიშებში ჩვენი ნიჭიერი არტისტი ვ. აბაშიძის გვარია ნახსენები-რომ მონაწილეობას მიიღებსო და არ მიიღო-კი მონაწილეობა. ნეტავ რა მიზეზი უნდა ყოფილიყო? არ გვიკადრა ჩვენ, სურამელებმა, თუ „სხვა რამ" მიზეზმა დაუშალა და ამისთვის არ გაგვაბედნიერა მობრძანებითა დ. სურამში.

სურამელი.

ქ. თელავი ქართული წარმოდგენა. 7 მარიამობისთვეს, გამართულ იყო ქართული წარმოდგენა ვიქტორ გამყრელიძის საბენეფისოდ. წარმოდგენილ იყო „სამშობლოდამ" მესამე მოქმედების მეორე სურათი და მეოთხე მოქმედება. აგრეთვე „თამარ ბატონიშვილიდან" მესამე მოქმედება.

საზოგადოება ძალიან ცოტა დაესწრო და წარმოდგენამაც უფერულად ჩაიარა. არ ვიცით ბ. გამყრელიძემ რისთვის მოინდომა ესეთი ნაწყვეტების დადგმა, თუ უნდოდა რო ეჩვენებინა თავისი ნიჭი და უნარი, თუ როგორ ასრულებს სიმონ ლეონიძეს როლს, უმჯობესი იყო სრულად მთელი პიესა დაედგა. ამასთანავე კარგი იქნებოდა მოეწვია ის პირნი, ვინც წინედ თამაშობდნენ, საზოგადოებაც მომეტებული დაესწრებოდა და უკეთაც ითამაშებდნენ, თორემ რასა ჰგავს წარმოდგენა უქალოდ? თვით ბ-ნი გამყრელიძეს გარდა სხვა მოთამაშენი მეტად სუსტნი იყვნენ.

არ ვიცით ჩვენ მსახიობთ წლეულ რა დამართათ. სუყველანი თავისთვის ცალკე-ცალკე თამაშობენ. ბ. აწყურელმა გამართა ცალკე. გამყრელიძემაც ცალკე და თვითონ გამგეს წარმოდგენებისას ხო ცხვირი იქით მიაქვს.

ბევრად უკეთესი იქმნებოდა, ერთათ შეკრებილიყვნენ, აერჩიათ ისეთი პიესა, რომლის შესრულება შეეძლოთ და შეერთებულის ძალით შესდგომოდნენ წარმოდგენის მართვასა.

როგორც ეტყობა, ჩვენებური მავნე სენი ქიშპობა და განდგომა აქაც მეფობს. სამწუხარო-კია.

მობენეფისეს მიართვეს საწუქრად კონვერტით ფული, ხოლო შემოსავალი წარმოდგენიდან კი არ ვიცი, ხარჯს დაეფარამდა თუ არა.

უ—შვილი

სამეურნეო ცნობა

წამლობა ფუღუროიანი ხეხილისა. შემოდგომობით მებაღემ განსაკუთრებითი ყურადღება უნდა მიაქციოს ფუღუროიანი ხეხილების წამლობას. ყველამ, რასაკვირველია, იცის, რომ ფუღუროიანი ხე მალე ხდება და რიგიან ნაყოფს არ იძლევა. თუ ხეს გაუჩნდა სოკო, შემდეგში მალე გაუჩნდება ხოლმე ფუღურო და ხე მალეზე ხმება. ფუღურო ჯერ უნდა კარგათ გამოასუფთაოთ, გამოფხიკოთ, რომ შიგ აღარ დარჩეს ჭია-ღუა, მერმე შიგ უნდა ჩაყაროთ ღორღი, რაზედაც დაასხათ კირის დუღაბს არეულს ძროხის ფუნთან და მოკლედ დაკრეჭილ ბალანთან. თუ ფუღურო პატარაა, გამოწმენდის შემდეგ უნდა ჩაურჭოთ ხის სოლი. რაც შეიძლება მაგრად. გარედ დარჩენილი თავი ხის პირად უნდა დასხერხოთ და მჭრელი დანით მოაჭრათ, ამასთანავე უნდა ჩაათალოთ ხის განიც ეს ადგილი უნდა დაგლისოთ ნამყენის ცვილით. რამდენიმე ხნის შემდეგ ფუღუროს ადგილას აღარაფერი გამოჩნდება: ადგილი შეუმთლდება.

საოჯახო ცნობა

ფეხ-საცმელების წმენდა. ყველაზედ უკეთესი საშუალება ფეხ-საცმელების გასაწმენდათ შემდეგია: ვაქსის მაგივრად ფეხ-საცმელი უნდა ფორთოხლის ქერქით გაწმინდოთ ისე, რომ სისველე ტყავზედ გადავიდეს, შემდეგ გაწმინდოთ მაგარი და რბილი ბალნიანი საწმენდებით (щетка) და ჩექმა ახალივით დაიწყებს პრიალს.

წვრილი ამბავი

დიდებული სახელები თანამედროვე ცხოვრებაში. ამ ხანებში ერთმა ცნობის მოყვარემ შეაგროვა ცნობები, თუ სად და რა ხელობაში შეხვდება კაცს დიდებული ისტორიული სახელები და გვარები. აღმოჩნდა, რომ მოგვარე დიდებული მარშალი ბერნადოტისა ქ. ბორდოში ქაღალდებით ვაჭრობს; ლიონში ცხოვრობს მეჩექმე კოლტერი და ყასაბი—ბარრასი; ტანისამოსის ვაჭარი—მარატი და გაზეთის მტარებელი რიშელი. პარიჟში მეეტლეა მოლიერი; თესლეულობის მოვაჭრე—რასინი; ბაყალი—მიუსე; წიგნების მკაზმავი—კონდე და მენახშირე—რობესპიერი.

გერმანეთში ვიღაც ჰილგელმ-ტელი ტყავებს ყიდის, ტანგეიზერი—ლუდსა; განტს საკომისიო კანტორა აქვს და სხვ.

უცნაური დროს გატარება: ამ ცოტა ხანში ნიუ-იორკში დაქორწინდა მდიდარი ვაჭარი ერთ მდიდარსავე ქალზედ. მეფეს უნდოდა რომ პირველი დრო სიტკბოების გატარებინა განმარტოვებით. სად წასულიყო თითონაც არ იცოდა; იმის სადგომში განუწყვეტლივ დაიარებოდნენ ათასი სხვა-და-სხვა პირი საქმეების გამო. პატარახან ფიქრის შემდეგ, მან მიაგნო მშვენიერ აზრს, რომელიც იმ წამსვე განახორციელა: მის ბაღში ერთი უშველებელი ხე იდგა, ხის წვეროზედ საჩქაროთ გამართა პატარა, მშვენიერად მოწყობილი ოთახი. თოკის კიბით ახალგაზდა ცოლქმარი ადიოდნენ თავის ბუდეში, შემდეგ აზწევდნენ თოკსაც ზევით და ამ გვარად მოსწყდებოდნენ ხოლმე დედამიწის სამი-ოთხი საჟენის სიმაღლეზედ.

ქონდრის კაცების სამეფო. ნიუ-იორკში ამ ჟამად ერთი სასტუმროა, სადაც ყველა შიგ მოსამსახურეები პატრონიდამ დაწყებული უბრალო მოჯამაგირემდე სულ პატარა ტანისანები არიან; ყველაზედ მაღალი მათში არის 1 არშინისა და ექვსი გოჯისა. სასტუმროს პატრონი ბ. დოტი 32 წლისა, მისი ცოლი ამავე ხნისაა მაგრამ უფრო დაბალია, მათი სამი წლის ქალი ნადვილი ტიკინაა—სულ 5—6 გოჯისა იქნება. ამ სასტუმროში მცხოვრებელ უეჭველად იფიქრებს რომ ქონდრის კაცების ქვეყანაში ცხოვრობს.

ვაჭრების და იჯარადრების საყურადღებოდ.

კავკასიის სამხედრო საინჟინერო ოლქის მმართველობა აცხადებს რომ 23 აგვისტოს ქ. ტფილისში მოხდება საჯარო ვაჭრობა—სურამში დაბინავებულ ჯარებისათვის შეშის დამზადება იჯარით.

იგივე მმართველობა აცხადებს, რომ 23 აგვისტოს ქ. ტფილისში მოხდება საჯარო ვაჭრობა—ბელი-კლიუჩში (აღბულაღში) დაბინავებულ ჯარებისათვის შეშის დამზადება იჯარით.

განცხადებანი

მოწოდება

სწავლა-განათლების მოყვარეთა მართლ-მადიდებელთა ქრისტიანეთა მიმართ

ქრისტეს მოყვარენო და მოსავნო ძენო და ასულნო სრულიად ივერიისანო! ჩვენ დაბალნი დანი შავითა მოსილნი ჯიხეთის ტაძრათ მიყვანებისა დედათა სავანისანი, უმორჩილესადა გთხოვთ აღმოუჩინოთ ნივთიერი შემწეობა ჩვენგანვე დაარსებულს უფასო ერთ-კლასიან საქალებო სამრევლო სასწავლებელს, რომელიც დაარსებულია იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის სახელზე, პირველ იანვრიდან 1896 წლისა და რომელშიაც ვლებულობთ და ვასწავლით უსასყიდლოთ ღარიბთა შვილებს.

ძველ დროში ჩვენი მონასტრები და ეკკლესიები აღყვავებულნი იყვნენ კეთილ-მნებებელ შემწირველთაგან და იმედია, რომ კიდევ ღვივის ეს სიყვარული ქართველთა შორის.

წვლილი შემოწირულობა დიდის მადლობით იქნება მიღებული და გთხოვთ გამოგზავნოთ ამ ადრესით: Настоятельницѣ Джихетской женской Общины монахинѣ Еленѣ. Въ м. Ланчхуты.

დავშთებით თქვენი ღვთისადმი მსასოებელი ჯიხეთის სავანის დანი.

(6—4)

სარძეო

«ლ ი ს ი»

სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა № 117 და 118, თეატრის გვერდზედ.

მსურველთ ყოველ-დღე შეუძლიანთ იშოვნონ

რძე, მაწონი, ნაღები, კარაქი, ყველი, ნაზუქი, ჩაი, ყავა, კაკაო, შოკოლადი, კრემი ჟელე, მურაბები მართვნი და სხვა ტკბილეულობა ხაჭაპურები, ნაზუქები და ფუნთუშები კარაქით, ყველით, კვერცხით და სხვა-და-სხვა საუზმე.

ფასი ყოველგვარზე მეტად იაფი და ყველასათვის ხელ-მისაწდომი.

ვაჭრობა დილიდან საღამომდე.

МОЛОЧНАЯ „ЛИСИ"

Дворцовая ул. д. Грузинск. Дворянст. №№ 117 и 118.

(15—2)

დიდის ხნის სურვილი გამიხორციელდა და საკუთარი ჟურნალის გამოცემის ნებართვა მივიღე და ამ 1897 წლის პირველ ენკენისთვიდან, ყოველ თვე და თვე, გამოვა

„კ რ ე ბ უ ლ ი"

სამი განყოფილებით: 1-ში იქნება ახალი ჯერ დაუბეჭდელი, ყოველგვარი ჩემი თხზულებათაგანი, 2-ში ჩემი თავ-გადასავალი, ანუ ნახული და გაგონილი, ჩვენის ქვეყნისა და ცხოვრების შესახები—შიგა და შიგ ჩართული იქნება ხელ-ახლა ყოველისფერი, რაც-კი ამ ორმოცი წლის განმავლობაში მიწერია,—საჭირო შენიშვნებითა და განმარტებით... 3-ში ზეპირ-გარდმოცემა, ხალხური პოეზია, ე. ი. შაირები, ზღაპრები, ძველი ამბები, ანდაზები, არაკები, გამოცანები, შელოცვები და სხვანი.

რადგანაც ამ უკანასკნელს მეტს მნიშვნელობას ვაძლევთ სხვა ყოველისფერზე, ამისათვის ყველასა ვსთხოვთ, რომ შემწეობა აღმოგვიჩინონ ამ დიდ საქმეში.

საზოგადოდ ხალხურ პოეზიაზე და მისს შეკრების შესახებ ვრცელი სტატია იქნება პირველ ნომერშივე.

წელიწადში გამოვა თორმეტი წიგნი და ეღირება ტფილისში მცხოვრებთათვის 6 მან., ხოლო ქალაქ გარეთ გაგზავნით 7 მან. წელიწადში; ნახევარ წლით-კი 4 მან.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში: ,,წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების'' წიგნის მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან (სათავად-აზნაურო ქარვასლაში). ელენე ანტონოვსკისთან—ბიბლიოთეკაში.

იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში (ლორის-მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახ. № 4) და ტფილისის ამხანაგობის ,,შუამავალის'' მაღაზიაში.

ამას გარდა სხვა დაბა-ქალაქებშიაც გვეყოლება აგენტები, რომელთაც ექნებათ დაბეჭდილი და ჩვენი ხელ-მოწერილი ბარათები.

(40—26) ,,კრებულის'' რედაქტორი **აკაკი.**

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 Августа 1897 г.
სტამბა ექ. ი. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქ., № 28.
რედაქტორ-გამომცემელი **ფალ. გუნია**